საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/1475
27/05/2019

1475-გ-19-03-2-201905271016

შპს „პოვერნეტს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების” 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 30 მაისს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია”) სხდომა, სადაც განიხილება შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტები, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების და „შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე“ კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების დარღვევის გამო, რისთვისაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულია ჯარიმა ავტორიზებული პირის ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 3000 და არაუმეტეს 30000 ლარის ოდენობით (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-728, 06.05.2019) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N19-10-850, 24.05.2019).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 24 მაისი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „პოვერნეტს“ უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N19-10-728, 06.05.2019) – 2 ფურც;
2. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N19-10-850, 24.05.2019) - 1 ფურც.;
3. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (N19-10-847, 24.05.2019) - 1 ფურც.

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

N 19-10-850
24/05/2019

850-შ-19-10-3-201905241531

სამართლებლივი დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტს

თამარ გოშუას

გაცნობებთ, რომ ავტორიზებულ პირს შპს“პოვერნეტს“ დღემდე , 2019 წლის 24 მაისამდე, არ წარმოუდგენია სტატისტიკური აბგარიშგების შესაბამისი ფორმები, მათ შორის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილებაში აღნიშნული მონაცემები.

თამარ მარღანია

მონაცემთა სიზუსტისა და ხარისხის მართვის წამყვანი სპეციალისტი
ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

N 19-10-847
24/05/2019

847-შ-19-10-3-201905241501

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითერების დეპარტამენტის

უფროსს ქალბატონ ქეთევან რეხვიაშვილს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

წამყვანი სპეციალისტის თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ქეთევან,

გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „პოვერნეტმა“ წარმოადგინა თუ არა 2018 წლის ოქტომბრის თვიდან დღემდე სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, რომელიც კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით ქონდა დავალებული.

თამარ გოშუა

წამყვანი სპეციალისტი
სამართლებრივი დეპარტამენტი

N 19-10-728
06/05/2019

728-შ-19-1-3-201905061759

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის,
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ **შპს „ჯენკოლაინს"** კომისიის 2019 წლის 28 მარტის N168/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების (გამოქვეყნების თარიღი - 16/04/2019) შემდეგ ნაწილობრივ შეასრულა გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ:
2. შპს „ჯენკოლაინს" დაევალოს 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში;

კომპანიამ კომისიაში წარმოადგინა მხოლოდ 2019 წლის იანვრის, თებერვლის და ასევე მარტის თვის რეგულირების საფასურის 1,9 ფორმები და წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად მთლიანობაში ერიცხება რეგულირების საფასურის დავალიანება - 34.01 ლარი.

შპს „4კ ტვ"-ს კომისიის 2019 წლის 28 მარტის N169/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების (გამოქვეყნების თარიღი - 16/04/2019) შემდეგაც არ შეუსრულებია გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ:
2. შპს „4კ ტვ"-ს დაევალოს 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა;
კომპანიას, ასევე წარმოსადგენი აქვს 2019 წლის მარტის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმა და გაანგარიშებების წარმოუდგენლობის გამო დავალიანება ვერ დგინდება.

შპს „სი სი ჯის" კომისიის 2019 წლის 28 მარტის N170/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების (გამოქვეყნების თარიღი - 16/04/2019) შემდეგაც არ შეუსრულებია გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ:

2. შპს ,, სი სი ჯი''-ს დაევალოს 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა 10 სამუშაო დღის ვადაში და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა;
კომპანიას, ასევე წარმოსადგენი აქვს 2019 წლის მარტის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმა და გაანგარიშებების წარმოუდგენლობის გამო დავალიანება ვერ დგინდება.

შპს „პოვერნეტს" კომისიის 2019 წლის 28 მარტის N165/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების (გამოქვეყნების თარიღი - 16/04/2019) შემდეგაც არ შეუსრულებია გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებით დაკისრებული ვალდებულება:
2.შპს ,, პოვერნეტს'' დაევალოს 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის და თებერვლის თვეების რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში;
3. შპს ,, პოვერნეტს'' დაევალოს რეგულირების საფასურის დავალიანების - 19.80 ლარის გადახდა 10 სამუშაო დღის ვადაში;

კომპანიას ასევე წარმოსადგენი აქვს 2019 წლის მარტის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმა და გაანგარიშებების წარმოუდგენლობის გამო დავალიანება ვერ დგინდება.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

ნათია დევდარიანი

სამსახურის უფროსი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური